

140 / 2  
1950

№ 2 თებერვალი

1950  
თბილისი  
საბჭოთავო  
საბჭოთავო



შენი ნაწილია





### საბჭოთა საქართველოს ჰიმნი


იდიღე მარად, ჩენო სამშობლოვ,  
 გმირთა კერა ხარ გაუქრობელი;  
 ქვეყანას მიეც დიდი სტალინი,  
 ხალხთა მონობის დამამხოველი.  
 შენი ოცნება ასრულდა,  
 რისთვისაც სისხლი ღვარეო;  
 აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,  
 ილხინე, ქართველთ მხარეო!  
 დიდი ოქტომბრის შუქით ლენინმა  
 შენ გაგინათა მთები ქალარავ;  
 სტალინის სიბრძნემ ძლევიტ შეგმოსა,  
 გადაგაქცია მზიურ ბაღნარად.  
 მოძმე ერების ოჯახში  
 დამკვიდრდი, გაიხარეო,  
 აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,  
 ილხინე, ქართველთ მხარეო!  
 უხსოვარ დროდან ბრწყინავდა შენი  
 აზრი, ხმალი და გამბედაობა;  
 დღეს შენს დიდებას, ნათელ მომავალს  
 სჭედს სტალინური წრთობის თაობა.  
 საბჭოთა დროშა დაგნათის,  
 მზესავიტ მოელვარეო;  
 აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,  
 ილხინე, ქართველთ მხარეო!





საბჭოთა კავშირის გენერალისიგუსი ი. გ. სვალინი

ნაბ. ი. თოდია (ფოტორეპროდუქციის)





# სამშობლოს ერთგული უმჯობესი

ატკარსკი-ბერლინი-პრადა-ატკარსკი! — ასეთი წარწერისანი პატარა პიონერული დროშაა გამოფენილი საბჭოთა არმიის მოსკოვის ცენტრალურ მუზეუმში.

ომამდე ეს უბრალო წითელი დროშა, ინახებოდა სარატოვის ოლქის პატარა ქალაქ ატკარსკის მეთხე სკოლის პიონერთა ოთახში.

1941 წელს ატკარსკის სკოლის ბავშვები ფრონტზე მიაცილებდნენ მეომრებს; მაშინ ბავშვებმა აჩუქეს მეომრებს ყველაზე ძვირფასი და საყვარელი, რაც გააჩნდათ — პიონერული წითელი დროშა.

— გამაღობთ ბავშვებო, ვფიცავთ, რომ გამარჯვებით დაგიბრუნებთ ამ დროშას.

საბჭოთა მეომრებთან ერთად ამ პატარა დროშამ გაიარა დიდი სამაგოლა ომის ქარცეხიანი გზა ატკარსკიდან ბერლინამდე.

ატკარსკელმა ბავშვებმა მუდამ იცოდნენ, თუ სად იმყოფებოდა მათი დროშა, მღელვარებით ადევნებდნენ მას თვალყურს და რუკაზე აღნიშნავდნენ მის სვლას ომის გზებზე. სად არაა ნაპყრობი მათი დროშა: ორიოლსა და კუპიანსკში, მერეფასა და პავლოგრადში, კიევისა და ჟიტომირში. საბჭოთა მეომრებთან ერთად გადალახა მან მდინარეები: ვისლა, ნეისე და შპრეე, გაიარა ბერლინისა და პრადის ქუჩები... ეს დროშა ყველგან ამხნევებდა და გამარჯვებისაკენ მოუწოდებდა მეომრებს.

ბტკიცდ შეასრულეს საბჭოთა მეომრებმა ატკარსკელი ბავშვებისათვის მიცემული სიტყვა: ომის შემდეგ დაუბრუნეს დენთისა და

ომის ქარცეხლისაგან ფერზეცვლილი, მაგრამ გამარჯვების შარაგანდელი მოსილი, თავიანთი საყვარელი ომგადახდილი დროშა, წარწერით: ატკარსკი-ბერლინი-პრადა-ატკარსკი. ეს დროშა ახლა, როგორც საბჭოთა არმიის უძღველოების, ხალხისადმი მისი უანგარო სიყვარულისა და თავდადების სიმბოლო, — ინახება მოსკოვის მუზეუმში.

ბევრი იმ მეომართაგანი, რომელთაც ბრძოლის ქარცეხელში გამოატარეს ატკარსკელი ბავშვების პიონერული დროშა, — თვითონ არც ისე დიდი ხნის წინათ იყო პიონერი; მათ სწორედ იმ ატკარსკელი ბავშვების ასაქიდანვე შეისისხლხორცეს სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარული, სამშობლოსა და ხალხისათვის თავდადებას გრძნობა.

განა ამ გრძნობასა და ამ სიყვარულს არ ამქლავებდა მთელი გულით პაეკა კორჩაგინი? — თქონ უთუოდ იცნობთ მას — სამოქალაქო ომის გმირს, ნიკოლოზ ოსტროვსკის წიგნიდან „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. ან იქნებ სიხარულითა და მღელვარებით გიყურებიათ ეკრანზე მისი შეუპოვარი, გამირული ბრძოლებისათვის თეატრგარდელთა წინააღმდეგ.

განა სამშობლოსადმი სიყვარულის უმაღლესი გამოხატულება არ იყო ზოია კოსმოდემიანსკაის გმირობა? — თქვენ უთუოდ იცნობთ ამ გოგონას, მოსკოველ წარჩინებულ მოსწავლეს, შემდეგში პარტიზანს, დიდი სამამულო ომის გმირს, რომელმაც ხალხისა და სამშობლოს ინტერესებს შესწირა თავი.

განა სამშობლოსა და ხალხის უსაზღვრო სიყვარულის გრძნობამ არ ჩააღწინა გმირობა შოთა გამცემლის? — თქვენ უთუოდ გაგიფონით ეს ყოფილი თბილისელი მოსწავლე, დიდი სამამულო ომის გმირი, რომელმაც ბრძოლის მიმე წუთებში გრანატების დიდი კონით შეუეარდა მტრის ტანკს, მტერად აქცია იგი, მაგრამ თვითონაც დაიღუპა, რომ ჩვენი ჯარების წინსვლა არ შეფერხებულიყო.

და ვინ ჩამოსთვლის კიდევ გმირებს, რომლებმაც თავი შესწირეს სამშობლოს თავისუფლებასა და ბედნიერებას.

ხალხი აღიღებს მათ!  
ჩამღენი სკოლა ამჯობს მათი აღზრდილი გმირებით.  
სწორედ პატრიოტიზმის გრძნობა, სამშობლოსა და ხალხის სიყვარული ალომელებ-



სსრ კავშირის შვიარაღებული ძალების მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი **შოთა გამცემლი**

და საბჭოთა მეომრებს და აკეთებინებდა ბრძოლაში ლეგენდარულ საგმირო საქმეებს.


სწორედ პატრიოტიზმი, სამშობლოსა და ხალხის სიყვარული, თავისი სამართლიანი საქმე ხდის საბჭოთა არმიას უძლეველს.

უძლეველია საბჭოთა არმია—სამოქალაქო ომის პირში, 1918 წელს დაბადებული, დიდი ლენინისა და დიდი სტალინის მიერ შექმნილი, ბრძენი სტალინის გენიალური მთავარსარდლობით დაეყვავებული, ჩვენი სამშობლოს ერთგული გუშავი, მშვიდობიანობისა და უშიშროების ბურჯი მთელ მსოფლიოში.

მისი შექმნის 32 წლისთავი აღნიშნა 23 თებერვალს ჩვენმა ქვეყანამ. პიონერული საღამო საბჭოთა არმიას! დიდება და დღეგრძელობა გენერალის-მეს სტალინს!



# სათებურელი



ვალმოცინარე თებერვლის მზეო  
მომწყურდა გავლა ნაფუზერებზეო, —  
ამბობ და ქართლში მოგიხარია...

მაისს არ ვეტყვი, მარტიც არ გვიწყენს:

ქართლში გაზაფხულს თებერვლით ვიწყებთ, —  
ასე ვზეიმობთ დიდი ხანია.

ხედავთ! ხეხილებს უჩქროლავთ გული,  
რომ მალე ვნახოთ აყვავებული  
ჩვენი სამშობლოს მთასა და ბარად,  
და სააღერსოდ გვიწვდიან სახეს;  
სტალინის სახელს, ბერიას სახელს  
მთელ ხალხთან ერთად ლოცავენ მარად.

რომ საქართველოს კილით კიდემდე,  
რომელ კუთხესაც თვალსა ჰკიდებდეს,  
ზღვად მოსკდეს ხალხის ნაამაგდარი;  
რაც ნატვრად ჰქონდათ ქარმაგ წინაპრებს,  
ქვეყნის სიკეთედ რაც კი ინატრეს, —  
ყველას ხატავდეს ქართლის ბაღნარი.

თავს არ ზოგავდი ჩემო ქვეყანა,  
რომ ჩვენ გვესწავლა, ჩვენ რომ გვეხარა;  
გვესურს დროშა უფრო მაღლა ავმართოთ  
გულში ჩანერგილ ღრმა სიყვარულით,  
რომ დაგვხაროდეს, და სიხარულით  
მარად ძლიერმა ასე ანათო.

ბაკალა მკველიძე



# პირველი წიგნაკრები

საბავშვო საქართველო

მოთხრობა

ნან. შ. ცხადიძის

როცა საშამ შინ პირველად ვიოლონჩელი მოიტანა და ხეში სიმებზე გაუსვა, მისმა პატარა დამ, განცვიფრებულმა ანიკომ უკან მოიხედა, მივარდა ბებიას და კალთაში ჩაუდო თავი. ლეკვი ბასარა, რომელიც იატაკზე თავისთვის მშვიდად იწვა და თვლებმა, წამოხტა, კული ამოიძუა და ოთახს გაცალა. ბებიათ თვლი გააყოლა, მაგრამ კვლიც არ ჩანდა მისი, ანიკოს თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— თქვენც ერთი, მუსიკამ შეგაშინათ! შემდეგ ყური დაუფლო ხრინწიან ხმას, რომელსაც გამოსცემდა მისი შვილიშვილის ვიოლონჩელი, და დასძინა:

— თუმცა, ჯერ მუსიკისა არაფერი ეტყობა.

იმ დღიდან ანიკომ და ბასარამ შეიძულეს ვიოლონჩელი. ყოველთვის, როცა საშამ დასაკრვლად დაჯდებოდა, ანიკო სთხოვდა თავის ძმას ჩქარა დაესრულებინა დაკვრა; ბასარა კი იწყებდა ჩუმად ყმულის და ყურების ბარტყუნს. საშამ, სანამ შეეძლო, ითმუნდა, მაგრამ, როცა ლეკვი წრეს გადადიოდა, ოთახიდან ავდებდა მას. თუმცა ბასარას არ უყვარდა ვიოლონჩელის ხმები, მაგრამ ოთახის დატოვებაც არ სურდა, მით უფრო, როცა ანიკო იქ ეგულებოდა: ეშმაკმა ლეკვმა იცოდა, რომ ანიკო მას დაიცავდა. მაშინ საშამ, ლეკვთან ერთად, ანიკოსაც ავდებდა ოთახიდან.

ისინი გაჯავრებული, კარებს უკან ისეთ აურზაურს ასტეხნენ ხოლმე, რომ ყურთასმენა იყო წაღებული. საშამ თვლი ვერ უდებდა მეცადინეობას. ხშირად თვითონაც ჩაებმებოდა ხოლმე ამ ცელქობა-ხმაურობა-

ში. მაშინ კი ბებია ჩაერეოდა საქმეში; დასვამდა საშას სამეცადინოდ, თანაც გააფრთხილებდა: „უნდა იშრომო, უშრომლად ვერაფერს ვერ მიადწევ“.

ბებია განსაკუთრებულად აქცევდა ყურადღებას თავისი შვილიშვილის მეცადინეობას. იგი მასში ამჩნევდა საკმაო ნიჭს. გარდა ამისა, საშას ბაბუაც ვიოლონჩელზე უყრავდა, — ამის გამო ბებიას ძლიერ სურდა ვიოლონჩელზე დაკვრა ესწავლა შვილიშვილსაც. საშამ კი უხალისოდ მეცადინებდა. მამაკაცის საქმედ არ სთვლიდა მუსიკას. მართალი რომ ვთქვათ, იგი ამ აზრისა უფრო იმიტომ იყო, რომ ასე ფეკრობდა ზოგიერთი მისი ამხანაგი, განსაკუთრებით ფეხბურთის მოყვარული, თავდასხმის ცენტრი — მაკარი. იგი კიდევ დაცინოდა საშას, როცა მას ქუჩაში ხედებოდა ილიამი ვიოლონჩელით. საკვირველიც არ იყო: ინსტრუმენტი თითქმის საშაზე დიდი იყო. მაკარს მწარე ენა ჰქონდა, დამცინავი. საშას თუმცა არ მოსწონდა მაკარის ასეთი თვისება, მაგრამ მაინც ყურადღებას აქცევდა მის სიტყვებსა და სცხეენოდა, მუსიკას რომ სწავლობდა; არაერთხელ უთხოვინა მშობლებისათვის გაენთავისუფლებინათ იგი ვიოლონჩელისაგან, დედ-მამა მაინც და მაინც არ იყვნენ წინააღმდეგი, მაგრამ ბებიას ამის გაგონებაც კი არ სურდა.

რა ეწა საშას, მეცადინებდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ღიდის გაკირვებით.

ერთხელ საოცრად გააკვირვა ბებიათ საშამ. მასწავლებელმა ყმაწვილს ახალ პიესა მისცა: „სვედიანი სიმღერა“, კომპოზიტორ ჩაი-

კოცვისა. როდესაც საშამ შინ ამ პიესაზე მუშაობა დაიწყო, ბებია სასწრაფოდ შემოვიდა ოთახში და კარებში განჩრდა.

საშას, რა თქმა უნდა, არ ეუცხოვა ბებიას შემოსვლა: იგი სულ ფუსფუსებდა... ახლა კი ჩუმად იდგა. ბოლოს საშა მიბრუნდა ბეზასაკენ და მის თვალებზე ცრემლი შეამჩნია.

- ბებია, შენ ისევ ხახვი დასტერი?
- არა.
- სურდო გაქვს?
- არა.
- შენ განა არ ტიროდი?

ბებია სდუმდა. საშა მიუახლოვდა მას, მოხვდია და კიცნა დაუწყყო. მაშინ უთხრა ბებიამ, თუ რისთვის ტიროდა...

საშამ პირველსავე ვაკვეთილზე რომ შეასრულა „სევედიანი სიმღერა“, მასწავლებელმა შეაქო ყმაწვილი.

— შენ მოგწონს ეს პიესა? — შეეკითხა მასწავლებელი.

— ძალიან, — უპასუხა საშამ. — ბებიამ მითხრა: ამ „სევედიან სიმღერას“ ბაბუაშენი ძალიან კარგად უკრავდა და სწორედ ეს გახდა, თავდაპირველად, მიზეზი ჩვენი დამეგობრებისაო.

მასწავლებელმა სათვალეების ზევიდან გადმოხედა ბიჭუნას და გაიღიმა.

— ეს „სიმღერა“ შენ უნდა დაუკრა ჰოსპიტალში, საშეფო კონცერტზე, — უთხრა მან საშას.

განცვიფრებულმა ყმაწვილმა თვალები დააჭყიტა, გაუკვირდა — იგი არასოდეს არ გამოსულა ხალხის წინაშე. ვაი თუ დაჭრილებსაც ისევე დასცინონ მას, როგორც მაკარმა დასცინა? ომია, და ეს კი თავისი „სევედიანი სიმღერით“ მოსულაო!

— იგი რომ სევედიანია? — შეეკითხა საშა მასწავლებელს.

— მერე რა ვუყოთ? შენ ეგონია დაჭრილებს მარტო ახიარული მუსიკა მოსწონთ? აქ უფრო სხვა რატეა საჭირო, ჩემო მეგობარო! — კარგი შესრულებაა საჭირო. შესძლებ?

საშამ ერთბაშად ვერ გასცა პასუხი.

— ვეცდები.

— ეცადე. ახლა წადი და გულდასმით მოაკვირე ხელი მუშაობას.


საშა ჩაუჯდა სამუშაოს. ბასარამ დაიწკაწკავეა, მას უკვირდა, — როდის იყო, რომ საშა ვაკვეთილდან დაბრუნებისთანავე იწყებდა დაკვრას? აღრინდა. საშამ ხეში გამოიყენა დასამშვიდებლად. ანთო წინაღულდა... მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვეულებრივი ამბავი დატრიალდა. საშა იძულებული იყო, მოეკრაბა ძალა და ორივე გაეგლო ოთახიდან.

საშა აღარ გასულა მათთან. რამდენიმე დღე ჩვეულებრივზე უფრო ბეჯითად შეცადინებოდა.

იმ კვირა დღეს, როცა მას უნდა დაეკრა ჰოსპიტალში, უფროსები შინ არ იყვნენ. დედ-მამა სანიტარულ თბომაველზე მუშაობდნენ და სადღაც იყვნენ წასული, ბებია კი მეზობლად წავიდა, რაგორც თვითონ ამბობდა, საჭაერო თვადცვის წრეში სამეცადინოდ.

თბილი დღე იყო. გაზაფხული დგებოდა. მერცხლები ჯერ არ მოფრენილიყვნენ, მაგრამ ბელურების ქვიცილ-ხივილი იკლებდა არე-მარეს.

საშამ ფანჯარაში გაიხედა. მზეს გაეშრო დილის წვიმისაგან დასველებული ქვაფენილები. აიღო თავის ვიოლონჩელი და დასთან ერთად გასწია ჰოსპიტლისაკენ. სრულიად არ ფიქრობდა დის წაყვანას, მაგრამ მეტი გზა არ იყო, მარტო ხომ არ დატოვებდა პატარას? ბასარამ თვითონ გადასწყვიტა რო-







გორ უნდა მოქცეულიყო: უკან გამოუდგა და პირველსავე გზაჯვარედინზე დაეწია მათ. როცა სამივენი ჰოსპიტლის ბაღში შევიდნენ, მასწავლებელი წინ შემოხვდათ.

— ეს რა ამბავია?!—თქვა მან ცოტა არ იყო მწყურალად.

—ეს ამბავი კი არა, ბასარაა,—იწყინა ანიკომ და სიბრაღელის თვალით გადახედა ბასარას.

ისინი მალე დარბაზში შევიდნენ. საშა მასწავლებელს გაჰყვა, ანიკო წინა რიგში დაჯდა. დარბაზი გაქედილი იყო მეომრებით. არასოდეს არ ენახა ანიკოს ერთად ამდენი დაქრილი ადამიანი. ზოგს ფეხი ჰქონდა მეხეუელი, ზოგს ხელი, ზოგსაც თავი. ყველა კონცერტის დაწყებას ელოდა. აი ფარდაც გადასწიეს. სცენაზე ვიღაც მომღერალი გამოვიდა. დარბაზში ჩურჩული და ხმაურობა შეწყდა. ანიკოსაც უნდოდა წყნარად დამჯდარიყო. მაგრამ ვერ ახერხებდა.

საშას გამოსვლის დრომ მოაღწია; იგი სცენაზე მოკრძალებული გამოვიდა, დარბაზს თვალი მოაწვია და დაინახა, რომ ანიკო ორ ოფიცერს შუა ჩამჯდარიყო. ერთ მათგანს მკერდზე ოქროს ეარსკვლევი უბრწყინავდა. ანიკო ფეხებს აქანაუვებდა და აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს.

„რას ცქმუტავს ეს გოგო!“ — გაიფიქრა ყმაწვილმა.

საშას ეტყობოდა, რომ ღელავდა, მაგრამ მაინც კარგად ეჭირა თავი. გულისყურით უსმენდნენ და თანდათან გამხხნედა. მთელი მონღოლებით ცდილობდა კარგად დაეკრა.

მასწავლებელი როიალზე აკომპანიმენტს უკრავდა და დროდადრო კმაყოფილი ღიმილით გახედავდა.

როცა საშამ დაასრულა თავისი „სიმღერა“, დარბაზში შექუხარე ტაში გაისმა. ანიკოს მეზობელი ოფიცერი, რომელსაც დიდი უღვაშები ჰქონდა, ყვარჯენს ურახუნებდა იატაკს და „ყოჩაღ ბიჭო, ყოჩაღ!“ გაიძახოდა. მერე ოქროსეარსკვლევიანმა სთხოვა ანიკოს საშასათვის დაემხნა. როცა საშა მოვიდა, მოეხვია მას და მადლობა გადაუთხადა.

ბიჭუნას გამალებით უცემდა გული. ხუპრობა ხომ არ იყო—საბჭოთა კავშირის გმირი ეხვევოდა და ჰკოცნიდა მას. მერე რისთვის? იმისთვის, რომ იგი კარგად უკრავდა ვიოლონჩელზე!

დიდუღვაშიანმა ოფიცერმა ანიშნა გმირ ოფიცერზე და მოულოდნელად თქვა:

—ოდესღაც ეს ჩვენი მაიორი — ანტონ სემიონიჩი სწავლობდა აი ასეთ ციმბალზე.

— კმარა, ვასილ ფეოდოროვიჩი.—სცადა მაიორმა შეეჩიერებინა იგი. უღვაშიანი კი განაგრძობდა:

— მაგრამ ყველაფერი ისე შეტრიალდა, რომ მან ხელი მოჰკიდა სხვა მუსიკას—არტილერიას. არა უშვას, სხვათა შორის, კარგი მუსიკა მოასმენინა გერმანელებს, გაიღიმა და ჩუმად დასძინა:—სწყინს, როცა ვიოლონჩელს ციმბალს ვეძახი.

„ნეტავ აქ იყოს ახლა მაკარი, —რას იტყობა?“ — გაიფიქრა საშამ.

მათთან მოდიოდნენ დაქრილები. ყველა

მათგანს ხელში რაღაც ეჭირა და ლაშობდა ბავშვებისათვის ესიაშოვებინა: ზოგი ვაშლს აწვდიდა მათ, ზოგი ნამცხვარს, ზოგი თხილს. ერთმა ხაჭაპურის ნაჭერად კი შესთავაზა ბავშვებს. ყველაფრიდან ჩანდა, რომ ბავშვების აქ ყოფნა მათ უხაროდო და აღუღვებდათ კიდევ. ეს ჩანდა მათს ჩემ ალერსიან განაზრევადში, ამოხვარში, ყოველი მათგანის სურვილში ახლოს მისულიყო ბავშვებთან. ვინ იცის, რა ფიქრებს არ აღუძრავდნენ ეს ბავშვები თითოეულ მათგანს! შეიქალბა ზოგს თავისი მშობლიური ქალაქი, თავისი ოჯახი მოაგონა, ზოგსაც თავისი საშუალო ადგილი და ამხანაგები, ან სკოლა, იმისაკენ მიშვავლი, წვრილმანებამდე ნაცნობი ქუჩით...

ვასილ ფეოდოროვიჩმა ენერგიულად გადააქნია თავი.

— ხედავ, როგორ ვისმენდნენ? — მიმართა საშას, — ყოველმა ჩვენგანმა შესანიშნავი წუთები განიცადა, და ეს მხოლოდ შენი მუსიკის მეოხებით, ჩემო პატარავ. როცა ასეთს რამეს განიცდი, გაგახსენდება, რაც დაგტოვებია მშობლიურ ადგილებში, კიდევ უფრო მძაფრად მოგინდება გაანადგურო მტერი.

საშა მისჩერებოდა თვალბეჭეში ვასილ ფეოდოროვიჩის და აღტაცების გამო სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა.



საშა დაფიქრებული ბრუნდებოდა შენიშვნებისკენ. გზად ისევ მაკარი მოაგონდა. — და უცებ, რაღაც საოცრად, სწორედ მაკარი შეეფთა წიხ. იგი შორიდანვე დამცინავად უღიმოდა.

— გაოგებისთვის აწირიხინებდი ამ შენს ინსტრუმენტს?! — უთხრა მაკარმა.

საშას ეწყინა და გაბრაზებულმა უპასუხა: — გაიუფლი! შენ არაფერი არ გესმის.

— რაო? — გაახსულდა მაკარი, — აბა, გაიმეორე!

— გავიმეორებ, დიახს!.. შენ მართო ის შეგიძლია, რომ კარში პენალტიდან შეაგდო აეროთი.

— ხა, ხა, ხა! — ისე ჩაიხიხითა მაკარმა, თითქო ძალიან სასაცილოდ მოეჩვენა საშას ხათქვაში.

— დიახს, ხა, ხა, ხა, — გასცინა საშამ. — მე გძირების წინაშე ვუჭრავდი, იცი შენი და ისინი არამც თუ დამცინოდნენ, შემაქეს კიდევ.

— აი, ტყუილი. — არა ვსტყუი. არა თუ შემაქეს, ნანობდნენ კიდევ, რომ მათ არ იცოდნენ ვილონიხელზე დაეკრა, — გადააჭარბა საშამ. მას ძალიან უხდოდა ერთბაშად დაემარცხებია მაკარი.

— წადი და ეს ზღაბრები ბებიაშენს მოუქვი.

— ბებიას მე მოუყვები, — ჩაერია უცებ ანიკო, — საშა კი მართლა შეაქეს.

— შენ ჯერ ცხვირი მოიწმინდე, — შეაწყვეტისა მაკარმა, — შეაქეს!.. შენმა ძმამ გასწავლა, როგორ იცრუო, არა?

— შენ თვითონ გაქვს მოსახოცი ცხვირი, — გაცხარდა ანიკო.

— შენ თვითონ ხარ ცრუ, — დაეხმარა ანიკოს საშა.

მაკარი ახლოს მივიდა საშასთან და მუშტით დაემუქრა.

— აბა გაბედე! — საშამ გამომწვევად წამოიწვია და ისინი ერთმანეთს მიეჯახნენ.

ანიკო უცქერდა მათ გაწითლებულ, გაბოროტებულ სახეებს და უცებ აღრიალდა.

ბასარა იქვე აღმოჩნდა, დაიყვინძა, — იგი გულადი ლეკვი იყო!

მართალია რომ ვთქვათ, საშა არა ხელსაყრელ მდგომარეობაში იყო: ერთ ხელში ვილონიხელი ეჭირა, რომელიც ამავე დროს თავისუფალ მოძრაობასაც უშლიდა... მაგრამ იგი უკან არ იხევდა.

— შენთან არ მინდა საქმე მჭონდეს, — მტკიცე, ბოხი ხმით სთქვა მაკარმა მან იგრამბო, რომ დღეს საშასთან ვერაფერს ვააწყობდა.

— არ ვინდა! — გააჯავრა საშა, — ძალიანაც

გინდა, მაგრამ გეშინია.

მაკარი უკვე აღარ უსმენდა, შემობრუნდა და წაიდა. საშა ვასცქეროდა მიმავალ მაკარს. იგი გრძნობდა, რომ ამერიიდან აღარ შეუშინდება არც მაკარს და არც მის დაცინვებს.

კმაყოფილმა საშამ სწრაფად განაგრძო გზა. ანიკო ფეხდაფეხ მისდევდა. სხვა დროს იგი წინ გაიქცეოდა, ან უკან ჩამორჩებოდა, მაგრამ ახლა ძმას ხელი მოჰყვოდა და უთხრა: — მომეცი ნოტები, მე წაიპოვილებ.

შემდეგ ბასარა დიდხანს ვერ შეეგუა იმას,

რომ საშა სულ უფრო იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე მათთან სათამაშოდ; ანიკოს კი, მის ერთგულ მეგობარს, თვითონ გაჰყავდა ბასარა ოთახიდან, როცა ბასარას არ სურდა მოესმინა ეს „უსიამოვნო“ ხმები. საშაც, თითქოს განგებ, სულ უფრო მეტ ხანს უჯდა ვიოლონჩელს.

...ხოლო ბებეის უხაროდა, უკვირდა კიდეც, რომ მარტო მან კი არა, უფრო მეტად მეომრებმა, მამაცმა მეტრბოლებმა ჩააგონეს შვილ-შვილს მუსიკის ასეთი სიყვარული.

# 29



## ნ ე ლ ი



იხარულით გაიღიმებენ მზის სხივები, როდესაც ჩვენს ქვეყანას დაანათებენ.

ვარსკვლავნი უფრო ხალისიანად იწყებენ ციმციმს, როდესაც ამ ქვეყნის თავზე შემოაღამდებათ.

ეს ქვეყანა საბჭოთა საქართველოა.

განა მარტო მისი სილამაზე ჰზიბლავს ყველას?! მისი გმირული წარსული, მისი ნათელი, კომუნისტის მზით გაბრწყინებული აწმყო შარავანდედით მოსავს მის სახელს.

აი გორი, ლამაზი და მომზიბლავი.

აქ ამ კობტა ქალაქში დეკემბრის სუსხიან დილას მსოფლიო პროლეტარიატის მზემ ამოანათა.

1921 წლის 25 თებერვლიდან საქართველო ამ მზის სხივებით არის განათებული.

29 წელია ამ მზის ნათელში ჰყვავის საბჭოთა საქართველო.

**არმაზ სანდლიძე**

თბილისის ვაჟთა 1-ლი სკოლის VIII კლასის მოსწავლე.





# ბუნების კანონი შეადლო



უღამ უყვარდა ნანიკოს  
ყვავილთა ნაზი ციმციმი:  
ეხმელას მორცხვი ამოსვლა,  
იების ლურჯი სიცილი,  
ქოჩორა ხრიზანტემები,  
გვირილა ყვითელთვალეზა,

იასამანის კუნწულა,  
მიხაყის აელვარება,  
დიდილოების ღიმილი,  
ეარდის წითელი დროშანი  
და მაღალ ფეხზე შემდგარი  
მთის ფერგამკრათალი შროშანი.  
ერთი რამ კი არ მოსწონდა  
და აფიქრებდა ნიადაგ:  
აი, პატარა იები,  
შროშანიც მდგარი ზვიდად:  
პაწაწა ია სუნს აკმევს,  
სურნელით დაბინდულია,  
მთის შროშანს ტანადს, მშვენიერს  
სუნი არა აქვს სრულიად.  
ამას ვერ შერიგებოდა,  
ეს აწუხებდა ძალიან:  
— რა უხეირო წესია!  
რა ცუდი სამართალია!  
და როცა წამოიზარდა,  
ბუნების კარი შეადლო,  
ბუნების ფეთქვას იღუმაღს  
ნორჩი ხელები შეახო.

თქვა: «რა წარმტაცი რამ არის!  
რა ჯადოსნური სამყარო!  
იგი იმისთვის შექმნილია,  
რომ კაცის გული ახაროს!»  
აღარ იზიდავს ნანიკოს  
ტოლ-შეგობრებში გართობა:  
მას უნდა გამოასწოროს  
ბუნების უსამართლობა.  
მოიშველია წიგნები,  
აღმზრდელთა სიტყვა მზიანი.  
— მიჩურინელი ვიქნები! —  
ფიქრობდა ნანი სიამით.  
შინ ყვავილნარი გამართა,  
თვალის ჩინივით უქვლიდა,  
პატარა იყო გოგონა,  
შრომობდა დიდის გულითა!  
აილო ია ლურჯთვალა,  
მთის შროშანს დაუქმობილა,  
ბევრჯერ დაამყნო, დასთესა...  
უქმყოფილოც ყოფილა;  
მაგრამ ბოლო დროს მიიღო  
ნაყოფი რამ სხივისანი:  
იის სურნელით შემკული  
მთის ტანწერწეტა შროშანი!  
ყვავილა უცხო ყვავილი  
და ამ ყვავილის ღეროდან  
ბუნება ადამიანის  
ძლიერებაზე მღეროდა!

ბერიკა მიქელაძე



# მებრძოლის სიმკურა გელაღზე



ამეა და ციდან მომზიბლავედ  
გადმოპყურებს მებრძოლს თეთრი მთვარე...  
მწვიდობის და ჩემი ქვეყნის მცველად  
დამაყენა მშობლიურმა მხარემ.

ახლა, როცა ცაა მოვერცხლილი,  
ტყის ფოთლებში მოშრიალე ნიავს—  
ჩემი ფიქრი და ოცნება ტყბილი  
კრემლისაკენ ალტაცებით მიაქვს.

სადაცა ვარ, ყველგან გხედავ თვლით,  
რასაც ფიქრითა და ოცნებით ვხატავ,  
მხოლოდ შენსკენ, საყვარელო სტალინ,  
გაზაფხულის ნარნარ ნიავს ვატან.

ზღვის გადაღმა ვხედავ—მახვილს ლესავს,  
ომის შავი აჩრდილი რომ დადის,  
ფხიზლად ვდგავარ და სამშობლოს ზეცა  
თავზე მხურავს, როგორც მუზარადი.

მე სამშობლოს ტრფიალი ნაქვს ფარად,  
გზას მინათებს შენი თვალთა მზერა,  
ამიტომაც, დიდო, სტალინ, მარად  
მე ბრძოლაში გამარჯვება მჯერა.

გულს მიმღერებს, სიხარულით მინთებს  
შენი სიბრძნე, ბშობლიურო სტალინ,  
ჩვენი ქვეყნის პატარებს თუ დიდებს—  
შენსკენა აქვთ მოპყრობილი თვალი.

იისფერ ცას რომ არ უჩანს ბოლო,  
ვარსკვლავებით მოკედლილი ელავს,  
ჩემი გულიც, წარფელი გულიც, მხოლოდ  
შენ შეგზარის—უსაყვარლეს ბელადს!

ღამეა და ციდან მომზიბლავედ  
გადმოპყურებს მებრძოლს თეთრი მთვარე  
მწვიდობის და ჩემი ქვეყნის მცველად  
დამაყენა მშობლიურმა მხარემ.

**მიხეილ ზანგუარაშვილი**



პიონერებს არჩევნების შესახებ

# სსრ კავშირის უმალღესი საბჭო



12 მარტს საბჭოთა ხალხი მივა საარჩევნო ყუთებთან და ხმას მისცემს სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოში ასარჩევად თავის საუკეთესო შვილებს, იმათ, ვინც თავიანთი ცხოვრებით და მოღვაწეობით დაამტკიცეს სამ-შობლოსადმი, ლენინ-სტალინის დიდი პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულება.

12 მარტს ჩვენი ქვეყანა ირჩევს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს. რა არის უმაღლესი საბჭო? — აი ამ კითხვაზე გვიპასუხებს ქვემოთ მოყვანილი სტატია, რომელიც გაზეთ „პიონერსკაია პრავდაში“ იყო დაბეჭდილი.

უპკველია ბევრ თქვენგანს უნახავს თავისი მასწავლებლის ან კოლმეურნიკობის თავმჯდომარის, ან მეზობელი პროფესორის, მქსოველი ქალის, ორთქლმალის მემანქანის მკერდზე პატარა, წითელი ნიშანი — მინანქრის ბიირალი, რომელსაც ოჭროს ასოებით აწერია: „სსრკ უმაღლესი საბჭო“.

ის ადამიანები, რომელთაც მკერდზე მიბნეული აქვთ ასეთი ნიშანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები არიან. მათ ჩააბარა ჩვენმა ხალხმა სახელმწიფოს მართვა-გამგეობა.

ჩვენს ქვეყანაში მთელი ძალაუფლება მშრომლებს, ესე იგი თვით ხალხს ეკუთვნის, ხალხი თავის წილიდან ირჩევს ყველაზე ღირსეულ ადამიანებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში. მათ, საბჭოებს აბარებს ხალხი ძალაუფლებას. აი რად ეწოდება ჩვენს სახელმწიფოს საბჭოთა სახელმწიფო.

ჩვენში ყოველი სოფლის ცხოვრებას სასოფლო საბჭო მართავს. სოფლებს ჯგუფი რაიონს შეადგენს, და მას რაიონული საბჭო მართავს. ჩვენში ყოველ ქალაქში არის საქალაქო საბჭო. \* რაიონებისა და ქალაქების ჯგუფი კი ოლქს შეადგენს, და მას საოლქო საბჭო მართავს.

იმაზე კი თუ რა არის უმაღლესი საბჭო, ლაპარაკობს მისივე სახელწოდება. სიტყვა „უმაღლესი“ ნიშნავს „ყველაზე მაღალს“, „ყველაზე მთავარს“. ჩვენი სახელმწიფო თექვსმეტი მოკავშირე რესპუბლიკისაგან შედგება. ზოგერთი მათგანის უმადღენლობაში კიდევ ავტონომიური რესპუბლიკები შედის. ყოველ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში არის უმაღლესი საბჭო, რომელიც ამ რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს.

\* დიდი ქალაქები ჩვენში რაიონებდ არის დაყოფილი და ყოველ ასეთ ქალაქში, საქალაქო საბჭოს გარდა, კიდევ რაიონული საბჭოებიც არის.

შენ, რასაკვირველია, იცა, რომ საბჭოთა ხალხი სტალინური კონსტიტუციის მიხედვით ცხოვრობს. ჩვენი სახელმწიფოს ეს პირობები კანონი — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია — მიიღო და დაამტკიცა სახალხო წარმომადგენელთა ყრილობამ — საბჭოების საგანგებო VIII საკავშირო ყრილობამ. იმ დროიდან კონსტიტუციის შეცვლის ამ შეესების უფლება მხოლოდ უმაღლეს საბჭოს აქვს, რომელიც ასევე უმადგება ხალხის წარმომადგენლებსაც — დეპუტატებისაგან.

დეპუტატად 1.300-ზე მეტ კაცს ირჩევენ. ისინი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ცხოვრობენ და მუშაობენ. წელწადში კი ორჯერ სხდომებზე იკრიბებიან. ყველა დეპუტატა ამა თავშეყრას უმაღლესი საბჭოს სესია ეწოდება. სესია ჩვეულებრივ რამდენიმე დღეს გრძელდება, რის შემდეგ დეპუტატები კვლავ ბრუნდებიან თავიანთ ქალაქებსა და სოფლებში. შემდეგ სესიაზე ისინი დაახლოებით მხოლოდ ნახევარი წლის მერმე იკრიბებიან. ამ დროის განმავლობაში, სასესიათაშორისო პერიოდში, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ახორციელებს უმაღლეს ხელისუფლებას. პრეზიდიუმი უმაღლესი საბჭოს პირველსავე სესიაზე ირჩევენ დეპუტატთაგან. იგი შესდგება პრეზიდიუმის თავმჯდომარის, მისი თექვსმეტი მოადგილის, მდივნისა და პრეზიდიუმის თხუთმეტი წევრისაგან. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი სცემს სხვადასხვა ბრძანებულებას: თუ საჭიროა, ნიშნავს მინისტრებს; ნიშნავს ელჩებს სხვა სახელმწიფოებში; ორდენებითა და მედლებით აჯილდოებს წარჩინებულ მოქალაქეებს, ამტკიცებს ზელმეყრულებებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირი სდებს უცხოეთის სახელმწიფოებთან, და სხვ. პრეზიდიუმი მთელი თავისი საქმიანობის ანგარიშს აბარებს უმაღლეს საბჭოს.

უმაღლესი საბჭო კვების აგრეთვე საბჭოთა კავშირის მთავრობას, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ეწოდება. მთავრობა შესდგება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და მინისტრებისაგან. მთავრობა ყოველდღიურ ზელმეყრულებას უწევს ქვეყნის მთელ ცხოვრე-


ბას, ხოლო თითოეული მინისტრი ხელშეკრულებას უწევს სახელმწიფო მართვადგეგმობის ცალკეულ დარგს. მაგალითად, ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი ხელშეკრულებას უწევს ქვანახშირის ამოღებას; მსუბუთი მრეწველობის მინისტრი — ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის გამოშვებას; გზათა მინისტრი მართავს რკინიგზებს, ხოლო შეიარაღებული ძალების მინისტრი — არმიას, სახელდრო-სახელგაო ფლოტს, სამხედრო ავიაციას.

მთავრობას და თითოეულ მინისტრს მთელი თავისი მუშაობა ისე მიჰყავთ, რომ უმაღლესი საბჭოს უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებულ კანონებს. მთავრობაც მუდამ აბარებს თავისი მუშაობის ახგარიშს უმაღლეს საბჭოს.

ჩვენი ხალხი წარმატებით ამთავრებს ომისმემდგომი სტალინური ხუთწლიანი შესრულებას. კანონი ამ ხუთწლიანი გეგმის დიად სამუშაოთა შესახებ, რომელთაც ბევრად უფრო გააძლიერეს და გამაღძირეს ჩვენი ქვეყანა, ოთხი წლის წინათ დაამტკიცა უმაღლესი საბჭომ. და მხოლოდ უმაღლესი საბჭოს მიერ ამ კანონის დამტკიცების შემდეგ, 1946 წელს შეუდგა მთავრობა ხუთწლიანი შესრულების.

სწორედ ასევე, უმაღლესი საბჭო ამტკიცებს სახელმწიფო ბიუჯეტს — სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის გეგმას ერთი წლისათვის. ყოველი საქმისათვის, რაც ჩვენს ქვეყანაში სრულდება, — მინდორსაცავი ტყის ზოლების დარგვა იქნება თუ მრავალმეილებიანი დედებისათვის ცულაბი დახარების გაწევა, ახალი არხის აგება თუ სკოლების აშენება, — საჭიროა მნიშვნელოვანი თანხების დახარჯვა. სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის დამტკიცების უფლება კი მხოლოდ უმაღლეს საბჭოს აქვს. სანამ უმაღლესი საბჭო არ დაამტკიცებს ეონონს ბიუჯეტის შესახებ, მთავრობას არ შეუძლია ხარჯოს სახელმწიფო სახსრები.

უმაღლესი საბჭოს გარეშე ჩვენს ქვეყანაში არც ერთი კანონი არ მიიღობა. ამიტომაც ვამბობთ, რომ საქანონმდებლო ძალა უფლება უმაღლეს საბჭოს ეკუთვნის. მთავრობას კი ეკუთვნის აღსრულებითა და განკარგულებითი ძალაუფლება.



# ბუნების გამოკვლევა



უხის მერქანში მოკონავს წყალი  
და იღვიძებენ რტოზე კვირტები.  
მზემ დაანათა მთებს ოქროს თვალი  
და ჯღურტულეებენ ხეზე ჩიტები.

დაზუნუნებენ ფუტკრები გზაზე,  
და გაზაფხულის მახარობელი  
შემოკვიკვიკდა მერცხალი ბანზე  
დიდი სიცოცხლის საგალობელით.

ხეზე კვირტები ახელენ თვალებს.  
მზეს უცინიან ბერი თელეებიც,  
მთებზე დარჩენილ თოვლის თეთრ ლაქებს  
წამოეპარნენ თავს ენძელები.

მწვანე გაზაფხულს უხმობს ხეხილი.  
იღვიძებს ვაზი ფიჭრში წასული.  
სახლის წინ ბოძზე გადაგრეხილი.  
მერცხლის ბუდეგთან ბანზე გასული.

და მოუხენელი მიწის მკვეთელი  
ბელტებს სახნისი ეძგერა დილით,  
შედრკა ყამირი გაუტეხელი,  
მიწაში ფესვებს გაუფრთხა ძილი.  
გადახნეს ირგვლივ ვრცელი მინდვრები,  
ლევის მიწა და იღვიძებს ველი!  
გაზაფხულს უხმობს მწვანე კვირტები  
აღრე მოსული ენძელას ყელით.

სადღაც ტყის პირას კვლავ „კაფე-თესეს“  
სოფელს გასძახის ხიდან გუგული,  
და მიაქვს ნიავს სერიდან სერზე  
ჩვენი ტრაქტორის მკვეთრი გუგუნი.

ქალებში გუთანს მოსდევს გუთანი  
და მიწის წვენი ჩადგა ხის კანში,  
დათბა ამინდი, დედაფუტკარიც  
კვლავ განუწყვეტლივ ფუსფუსებს სკაში.

მუხის მერქანში მოკონავს წყალი,  
ველს ნაკადული ებუტბუტება  
და მწვანედ გაშლილ კვირტების თვალით  
იღვიძებს დიდი დედაბუნება.

ვალვა ფორჩხიძე







ბორის ჩხიძე

მოთხოვნა

ნახ. ა. ხალაბუღიას

ალეირის ერთ პატარა ნავსადგურში ყველა ამჩნევდა სხვადასხვა ენაზე დამტკრეულ-ლად მოლაპარაკე ყმაწვილს.

ისეთი ნიჭიერი, კონტა ტანადი და თვალადი ჭაბუკი, თანაც მარჯვე, ძნელად თუ ენახა ვისმე.

ამიტომაც ბედნიერად თვლიდნენ ფაშა ჰუსეინ ბეის, რომელსაც ეს ყმაწვილი სტამბოლიდან ალეირს ჩადისული ტყვეებით მოუტარებდა თურქისაგან სულ იაფად ეყიდნა.

«გურჯი ბიჭი!» — ასე ეძახდნენ ყმაწვილს ნავსადგურში.

გურჯიც მზად იყო ყველასათვის ესიამოვნებინა. ხავსადგურის მოქალაქენი სულსა და გულს, სავაჭროსა და ქონებას ენდობოდნენ გურჯ ბიჭს.

მხოლოდ ბრესტიდან მოსულმა, ოცდაათ ქვემეხიანი ფრეგატის\* კაპიტანმა აითვალისწინა ის. დანახა თუ არა მკვირცხლი და მოღიშარი, ხელმარდი და დაუზარელი გურჯი ბიჭი, ხელქვეითები გააფრთხილა:

— თვალყური გეჭიროთ, ვანა შეიძლება ასეთი ყმაწვილი ტყვეობას შეურიდგეს?! აქ სხვა რამ ამბავია!

მეზღვაურებიც ფრთხილობდნენ. აღევნებდნენ თვალყურს. ჩქარა კაპიტნის ეჭვი გამართლდა.

მეთვალყურე მეზღვაურმა შეამჩნია, რომ ღამე, როგორც კი ნავსადგურის მკვიდრნი დაიძინებდნენ და ცაზე მთვარე ამოვიდოდა, — გურჯი ბიჭი ზღვის პირად მოიპრინდა, პირქვე დაწვებოდა სილაზე, ნიკაპს ხელებზე დაიერდნობდა და გაშტერებული ვასკეპროდა რეიდზე იალქნებგაბერილ, მოტივტავე ფრეგატს.

ასეც მოახსენეს მეზღვაურებმა კაპიტანს.

\* ფრეგატი — ძველბურთი სამხედრო სამანქანო გემი.

— შეიპყრეთ! — ბრძანა კაპიტანმა. ღამით მეზღვაურები მიეპარნენ მოთვალ-თვალე ბიჭს, დაიჭირეს, თვალები აუხვეიეს და მორიგით შეაგდეს ფრეგატის გემბანზე.

— აქ რათ დავხეტები, რას უთვალთვალ-ლებ? — ჰკითხა კაპიტანმა გურჯ ბიჭს.

— მომწონს თქვენი გემი. ასეთი მშვენიერი რამ ჩემს დღეში არ მინახავს, მერე დაროგორი კეთილი მეზღვაურები არიან ზედ! მიუყარებელ იზგოსილებს კი არა ჰკვანან!

— უთხრა პატიმარმა. — აი თურმე!... — გაუჭილიყავა კაპიტანმა, მე კი არა მჯერა, დაფქვი რაც იცი და ვისი მოგზავნილიცა ხარ!

— მე ფაშა ჰუსეინ ბეის ტყვე ვარ, პატრონო!

— თვალს ნუ გვიბამ! — შეჰყვირა კაპიტანმა. — წაიყვანეთ, სიმართლე ათქმევენით, თუ გაგიძალიანდით — სცემეთ!

მეზღვაურებმა ხელი მოავლეს გურჯ ბიჭს.

— უცემრად გეტყვი, ოღონდ ფრანკებო, ვაფიცებით თქვენს თავისუფლებისათვის მებრძოლ სამშობლოს, არ გამოთვლიათ!

კაპიტანი მობრუნდა, მეზღვაურებმა ერთმანეთს გადახედეს. ასეთი დაფიცება მათ პირველად გააგონეს და, ცოტა არ იყოს, ნამუსში ჩაყარდნენ.

— სთქვი! — უბრძანა ისევ კაპიტანმა.

— მე მონად არ დავბადებულვარ და არც მოკვდები მონად.

— მერე! — მოუთმენლად წამოიძახა ერთმა მეზღვაურმა.

— ნუთუ ასეთ მშვენიერ ფრეგატს და მის ვაჟკაც მეზღვაურ-მსახურებს არ შეუძლიათ თავისუფლების მოპოებისათვის ხელი გამოიწყოფონ?

— გადასეთ ნაპირზე! — გაცა კაპიტანმა ბრძანება და გემბანი დატოვა.

— რას გეძახიან, ბიჭო? — ჰკითხა ახლა გურჯის იმ მეზღვაურმა, ნაპირზე რომ შეპყრო ის.

— ჯოჯოკს! — სევდიანად ამოსთქვა ბიჭმა.

— ჩვენებურად ეაკი! აბა, მოეშაადე: გაეცალე გემბანს.

— მე კი თავისუფლება მერჩია! — ჩაილაპარაკა ეაკმა და მძულარე ცრემლები წასკდა.

— ვართ თუ არა ფრანგები?! — წამოძახა ისევ იმ მეზღვაურმა და ამხანაგებს გადასედა. — დავმალეთ!

ეაკს ტილო შემოახეიეს და ორმა მეზღვაურმა ვერწო კიბით ფრეგატის ფსკერზე ჩაიყვანა. აქ შემოხსნეს ტილო... ერთი კვირის ცურვის შემდეგ ეაკი ღამით ბრესტის ნავსადგურში გადმოსვეს.

— თავისუფლება მაქვს! — თქვა ეაკმა და სამუშაოს ძებნას შეუდგა. დიდხანს უსაქმოდ დაეხეტებოდა ქუჩებში. შიშვლილი თვალები უბნელდებოდა.

II.

— წამოდი ჩემთან, ენახოთ როგორი მუშაკაცია ხარ, გამოსაცდელად ხუთი წლის ვადა მომიცია. მერე კი ხელფასსაც დაგინიშნავ და იქნებ დაგასახლო კიდევაც. — შესთავაზა ერთხელ ერთმა ფრანგმა ქაბცილიულ ეაკს.

— მერე და რაზე მიატუშავებ? — მაინც კითხა ეაკმა დამტვრეული ფრანგულით.

— ყველაფერი უნდა გააკეთო. ჯერჯერობით კი წისქვილში დავაყენებ, ეს ხუთი დღე გარდამეცვალა ბებერი მეწისქვილე.

ისედაც შიშვლილსაგან დასუსტებულ ყმაწვილს სულ გამოეღია ძალა მეზღვებში. რაღა წისქვილი უხსენა დამტვრეულმა? აღარც კი ასკოვდა და აი, სად მოავიწყეს: ეაკის მამას შორეთლ აწყურში, სარწყავი არხის ნაყურებზე, კანკურების ჩრდილებში, პატარა ბუტულა წისქვილი ჰქონდა. სწორედ იმ წისქვილის ეზოში დაემართა ის უბედურება პატარა ჯოჯოკს.

შუადღით მამა ქროხის მოსაძებნად გავიდა დიდი მდინარის მტკვრის პირად. ჯოჯოკს ხელთ წერაქვი ექიარა. ღიღინით კოლდა წისქვილის მოცვეთილ ქვას... დედას კი სოფლიდან ნაშუადღევს ქმრისა და შვილისათვის გული სათქვავი და სადილი უნდა ჩამოეტანა. ყმაწვილს მოულოდნელად ვილაცევი დაესხნენ თავს. პირში ბურთი ჩაუდგეს, ხელები გაუტრეს უკან, ტომარაში ჩააგდეს და გზას გაუყენეს.

ცხრა მთას იქით ამოიყვანეს სინათლეზე. მერე უბედურება უბედურებას აუკიდა. პირველად სტამბოლში გაჰყიდეს, მეორედ — ალიერში. და, აი, ამ მწარე მოგონებებით გაოგნებულ ეაკს ახლა კვლავ მოესმა ხმა:

— აბა, აი, წისქვილი!

ფართო და გრძელფრთხიანი ქარის ბორბალი გულის მომწყველი ჭრიალით ტრიალებდა. მიგნიდან სარეკელას ხმაური მისწვდა ეაკის ყურს. მას სიხარულის ქრუანტელმა დაუარა.

მართალია, რუხე აშენებულ ჯოჯოკის მამის ბუჭულას სულაც არა ჰგავდა ეს ფრთხანი წისქვილი, მაგრამ მაინც მშობელივით საყვარლად წარმოუდგა იგი. ჯერ სარეკელა გადაჰკიცნა, მერე ხეშირას ჩაეკრა.

ახალგაზრდა მეწისქვილემ მალე და შორს გაითქვა სახელი.

ქალაქიდანაც კი მოჰქონდათ მასთან საუბრავი. დამქირავებელი კმაყოფილი იყო.



გავიდა გამოცდის ვადა. დამჭირავებელი აქებდა ეპას, ეპატრეებოდა, ისევე დარჩენილიყო ძველ პირობებში. სიტყვას გადაუხვია: ხელფასის დანიშნვნაზე და დასახლებამზე უარი სტიკა.

ისევე ცისა და გზის ამარა დარჩა უკვე დავაქაცებული ეპაი. ეს კი იყო, რომ ახლა მას ნაცნობები ჰყავდა და ფრანგულიც ჩინებულად იცოდა. ახალი სამუშაოს შოვნის თადარიგს შეუდგა. დაუთვლებოდა ქუჩებსა და ბაზრებში.



III

— სალამი ეპა! — მოესმა ერთხელ მას ბაზარში. ეპამ მიიხედა და დანახა სწორედ ის მეზღვაური, რომელმაც ბრეტის ნავსადგურში გადმოსვა იგი.

— გაგიძარჯოს! — უბასუხა ეპამა. — დავაქაცებულხარ! ჩასს საქმე ჩინებულად მიგყავს! — უთხრა მეზღვაურმა.

— ძერე და რა ჰყრია დავაქაცებამში? — ისევე უსახელოდ და ულუქმაპუროდ დავეხეტები.

1785 წლის შემოდგომა იყო. საფრანგეთის საზღვაო სამინისტრო ამჟებრდა კაპიტანს ლა პერუსს, — გამგზავრებულყოი გემებით დედამიწის გარშემოსავლელად და ახალი მიწების აღმოსაჩენად.

— ეპა! — დაიწყო მეზღვაურმა: — ღარიბი კაცისათვის გათენებას ჯერ მაინც ბევრი უკლია. იქნება ჩვენი, ზღვაში სამუშაოდ წაოსვლას გაბედვ? მხოლოდ წინასწარ გაფრთხილებ, რომ დედამიწის გარშემოსავლელად და ახალი ქვეყნების აღმოსაჩენად ემზადება ჩვენი ახალი, გაბედული კაპიტანი ლა პერუსი. სრულიად ადვილი შესაძლოა დავაღუთოთ კიდეც.

— თქვენთან ჯოჯოხეთშიც წამოვალ, — აღტაცებით წამოიძახა ეპამა. — კაპიტანი ლა პერუსი მეც გამოგონია. გაბედულ მეზღვაურს ეძახიან. დედამიწის გარშემოვლას კი, აბა, რა ბედნიერება შეეღებება!

— მომწონს ეგ სიტყვა, ეპა! — თქვა მეზღვაურმა. წაიღეთ, ახლავ წარგადგენ ჩემს უფროსებთან. დაებრუნდებით და, კაპიტანს ლა პერუსს, შენს დამჭირავებულს კი არა ჰგავს, თვითონ იზრუნებს შენს მომავალზე.

IV.


იალქნიანი ფრეგატები, წესისამებრ, ზარბაზნები გრილოთ გავიდნენ ნავსადგურიდან. ევროპის ნაპირებთან მგზავრობა კარგად მიმდინარებოდა. ეკვატორთან მიახლოებისას კი გაძნელდა ცუფვა. ქარიშხლისაგან ამთავრებულ ტალღები და ტროპიკული სიციხეები მოსვენებას არ აძლევდნენ მეზღვაურებს.

ეპაი ტემზე მუშაობდა. ადგილიდან ადგილზე ტვირთი ვადაჰქონდა. საგზლად წაყვანილი ცხვრების, ღორების, ქათმების და ძროხების მოვლაც მისი მოვალეობა იყო.

ერთი წლის მოგზაურობის შემდეგ გემებმა სამხრეთ ამერიკას შემოღარეს და წყნარ ოკეანეში გავიდნენ.

აქ დაიწყო ყველაზე ძნელი გზა. ოკეანე წყნარი კი არა, გაცი აღმოჩნდა. ბუმბერაზი ტალღები ნადოტებივით აქანავენდნენ ვემებს. თვეები გადიოდა. არსად ნაპირი, არსად კუნძული. დაიქანცნენ მეზღვაურები. ზოგს ტროპიკულმა ციებამ დარია ხელი, ზოგს ცინგამ ცბილები დაეყრევინა. კაპიტანი, რაც შეეძლო, ზრუნავდა ხელქვეითებისათვის. მაგრამ ერთმა ძნელად გასათვლი სწინებელმა შემთხვევამ კინალამ დაღუპა მეზღვაურები.

ნორთი ჰავის გამო სარდაფებში პურის ფქვილს ობი მოეკიდა — გამწარდა. იმ ფქვილისაგან მომზადებულ სალფაეს ადამიანები კი არა, ღორებიც კი დინეს არიბებდნენ. გემებზე შიმშილობა შეიქნა. ნაპირ



ჩი არ ჩანდა, და თუნდაც რამდენიმე თვის შემდეგ გამოჩენილიყო, უდაბურ ადგილებში ფქვილის შოვნის იმედი არავის ჰქონდა. კაპიტანმა შიმშილის თავიდან ასაცილებლად ბრძანა, გემებზე მარაგად წამოღებული ხორბალ-როდინებში დაენახათ, ფქვილად ექციათ.

ცდა უშედეგოდ დასრულდა. დანაყოფი ხორბლიდან ხაბაზებმა პური ვერ გამოაცხეს. ამასთან გემების ყველა მეზღვაურს რომ ერთად ენაყა ხორბალი, დღეში ათი კაცის საყოფსაც ვერ დანაყავდნენ.

— არაფრად არ ვარგა დანაყოფი ხორბალი.—განაცხადეს ხაბაზებმა.—მეზღვაურებმა პირში ვერ ჩაიყარეს დანაყოფი ხორბლის პური.

შიმშილისაგან ღონემიხილი მეზღვაურები ვეღარ უშკლავდებოდნენ ოკეანის ტალღებს. გემებს დაღუპვის საშიშროება ჩასაფრებოდა.

ერთ დღეს საგონებელში ჩავარდნილი ლაპერუზი, კაპიტნის აივანზე გამოსული, დამწუხრებული გასცქეროდა უსაზღვრო ოკეანის ამობოქრებულ ზედაპირს. გემებს გააფთრებული ზვიგენების\* ჯოგები მისდევდა უკან. რამდენიმე დღის წინათ დაფორებული ხარის ბარძაყები გადაჰყარდა ოკეანეში მეზღვაურებმა. ზვიგენები დაეხვივნენ და ძვლებიანად გადაჰყლაპეს. ეს ბედი მოელოდათ ახალი ქვეყნების აღმოჩენით დაინტერესებულ მეზღვაურებსაც.

— შეიძლება, ბატონო?! — გაიგონა ხმა მწარედ დაფიქრებულმა კაპიტანმა. მან მოიხედა. დაინახა გემის მსახური, რომელსაც პირიდან არ იცნობდა, რადგანაც ეს მსახური გემების მართვაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა.

ეს იყო ქაკი.

— რა გნებათ?—მკაცრად მიუგო კაპიტანმა.

— მომეცით ნება წისქვილი ავაგო. — სთხოვა მან და გასწორდა.

— დიახ, ნამდვილი მეწისქვილე ხარ. — აღმოჰხნდა დაჯავრიანებულ კაპიტანს. ამ საუბრის შემსწრე მეზღვაურები სიცილს ძლივს იკავებდნენ.

— დიახ, მეწისქვილე ვარ.—გაბედულად წარმოთქვა ქაკმა. — მაშაც მეწისქვილე



მყავდ- აწყურში. მეც, თვითონ, მეწისქვილე ვიყავი საფრანგეთში. დამქირავებელმა მომატყუა, ხელფასი არ გამისწორა და ვერ დავეხსახლე.

— წყნარი ოკეანის ტალღებზე ხომ არ გნებათ აავით წისქვილი?!—დასცინა კაპიტანმა ქაკს.

— არა, თქვენო აღმატებულეებავ! მე ოკეანის ტალღებთან რა მესაქმება. ჯანდაბას მაგ გიყი წყლის ტალღები. მე წისქვილს გემბანზე ავაგებ.—აუღელვებლად თქვა ისევ ქაკმა.

დამსწრე მეზღვაურებმა ახლა პირზე ხელეი აიფარეს — კაპიტნის ახლოს სიცილი არ წაგაცდესო.

— და მინც როგორ აპირებ გემბანზე წისქვილის აგებას?—გაჯავრდა კაპიტანი.

— სამზარეულოში, ბატონო, ორი დიდი სალესი ჩარხი დგას. მე გავსინჯე ისინი და არაფრით არ ჩამოუფარდებიან თავისი სიდიდით და ხარისხით მამაჩემის პატარა წისქვილის ქვეს. ფრთები კი აქვე შეგვიძლია დავამზადოთ ფიცრებისაგან.

— ყოჩაღ, ააგე!—ბრძანა ქაკის კეთილშობილ განზრახვას სწრაფად მიხვედრილმა კაპიტანმა.

ახმაურდნენ ცულები, ახმაურდნენ შალაშინები. მეორე დღეს, დილით, გემბანზე ნამდვილი ქარის წისქვილი ბრუნავდა.

სალამოს კი ხაბაზებმა, რამდენიმე თვის შემდეგ, პირველად, გემრიელი ფუნთუშები გამოაცხეს. მეზღვაურებს ღონე შეემატათ, მოკეთდნენ. ახლა გემები გულადად მიარღვევდნენ ოკეანის ტალღებს. ნაჯახმეცს გემრიელი პურით დანაყრებული. მეზღვაურები გემბანზე გამოვიდნენ. მადლობის ნიშნად ქაკი ჰაერში შეაბურთავეს და დასძახეს:

— გაუმარჯოს მეწისქვილე ქაკს!

\* ზღვის ონავარი თევზი.

\*\*\*

შიმშილს გადარჩენილი მეზღვაურები გა-  
ნაგრძობდნენ ზღვების და ოკეანეების შეს-  
წავლას.

ორი წლის შემდეგ ისინი მიადგნენ ნახე-  
ვარკუნძულ კამჩატკას. შეცურდნენ ავაჩინის  
უბეში. აქ ისინი დასასვენებლად და სასმელ-  
საჭმელის შესაძენად შეჩერდნენ უკვე საყ-  
მაოდ მოზრდილ ნავსადგურ პეტროპავლოვ-  
სკში.

რუსმა მეზღვაურებმა სიამოვნებით მიი-  
ღეს გაბედული ფრანგი მეზღვაურები. გაუ-  
მასპინძლდნენ, შეუსწორეს რუკები, ბევრა  
უცნობი სრუტეები და კუნძულები ასწაე-  
ლეს.

ფრანგებმა სოხოვეს რუსებს ექსპედი-  
ციის ანგარიშები ფოსტით გაეგზავნათ საფ-  
რანგეთში.

ეს ფოსტა, რომელმაც აზიის და ევროპის  
გაელით პარიზს მიადწია, უკანასკნელა  
ცნობა იყო ლა პერუზის ექსპედიციის შესა-

ხებ. ორმოცმა წელიწადმა გაიარა, რაც აღ-  
რავინ იცოდა რამე ამ ექსპედიციის ბედზე:  
არ დაეწყებოდა იგი მხოლოდ ახალგაზრდა  
კაპიტანს დიუმონ დიურვილს, რომელიც  
გამგზავრა მის საძებნად. დიუმონ დიურ-  
ვილი ხანგრძლივი ძებნის შემდეგ, 1828  
წლის 17 მარტს მიადგა ახალი გებრიდების  
კუნძულებს. აქ, ერთ კუნძულზე მან აღმოა-  
ჩინა პატარა ძელური სახლი. ამ სახლში მრ-  
ვალი წლის განმავლობაში ეცხოვრათ ლა  
პერუზის გემის მატროსებს. აქვე ნახა  
დიუმონ დიურვილმა ბრინჯაოს ზარბაზნები  
და ზარები, ლა პერუზის გემების სახელებს  
წარწერიით, და ყველაფერი თავის გამებზე  
დატვირთა საფრანგეთში წასაღებად.  
დაწერილებითი ცნობების შეკრება კი, თუ  
როგორ დაიღუპა ლა პერუზის ექსპედიცია  
და მათ შორის გონიერი მეწისქვილე ჯოჯი-  
კი, ოკეანის საიდუმლოებად დარჩა, რადგან  
დიუმონ დიურვილმა ცოხტალს ვეღარავის  
მიუღწერა.



# პიონერული ნიშანი

რაც შაცხარა ნიშანი  
და რამდენის არის ჰიქმული...  
ის შაფაღუზს, რთმ შუე ვიყთ  
ღირსყოლი ლენინოლი!

ბუნე ჰოლთნი რთმ ანთივ,  
ჩუმი გულის ცემით ვათოთმ.  
აჩასთდეს არ ჩაქრუმა,  
აჩასთდეს არ დაათოვს...

არც რწმინდა იყის:  
„— მუღამ მზად ვარ“ —  
არ დავარდუფ არასთდეს,  
გაგიზბრდუმი და მის ნაცვლად  
შუე დავიზრუფ შკრდეს ორდესს.  
ასლთ, ვიდრე შაცხარა ვარ,  
და მოსწავლის სამოსს ვიღვამ,  
ლენინოლის ეს ნიშანი  
ღირსყოლიდ მსურს დავიღვს!

შახანან ნალარიშვილი



# ტყის მეფე



ნახატი გ. ჩირინაშვილისა

## იოჰან ვოლფგანგ გოეთე

ეს ვინ მიჰქრის ასე გვიან ღამით, ბნელში, ქარში?  
მამა არის თავის შვილით, მიჰქრის სწრაფად რაშით;  
ხელთ უჭირავს თავის ბავშვი სათლთად და თბილად,  
მას უპყრია ის უშინრად, ეფერება ტკბილად.

— ჩემო ვაჟო, ასე შიშით რისთვის ძალავ სახეს?  
— ხედავ მამა ტყის მეფესა, რომ მიქადის საფრთხეს?  
ტყის მეფე სჩანს შემწარავი, გვირგვინით და კუდიო!  
— ეს ნისლია, ჩემო შვილო, თავისივე ბურთი.

„ბავშვო ნაზო, საყვარელო, წამო ჩემთან ერთად!  
მრავალ ლამაზ გახართობით ვითამაშებ შენთან;  
იქ ზღვისპირას ბევრი არის ყვავილები ჭრელი,  
დედაჩემსა შენთვისა აქვს ოქროს სამოსელი“.

— ჩემო მამა, ჩემო მამა, ნუთუ შენ არ გვისწის,  
ჩუმად მეფე რას მბირდებო, ან რა სიტყვებს მესვრის?  
— დამშვიდდი და, ჩემო შვილო, იყავ მუდამ წუნარი,  
მხოლოდ გამხმარ ხარ ფოთლებში დაზღუნუნებს ქარი.

„განა არ გსურს, ნაზო ბავშვო, რომ წავიდეთ ერთად?!  
ჩემს ქალებს სურთ, რომ შევამკონ მრავალ ლამაზ-ფერად.  
მღერით თამაშს მოგიწყობენ, ჩაებმიან მწყრივად,  
დაგარწვენ, გაცეკვენ, გიმღერებენ ტკბილად“.

— ჩემო მამა, ჩემო მამა, ნუთუ შენ ვერ ხედავ,  
რომ ტყის მეფის ქალიშვილი, იქ, წუვდიადში სხედან?!  
— ჩემო ვაჟო, ჩემო შვილო, მას მე ვხედავ ზუსტად,  
მოჩ.ჩს ძველი საბალახო—გადამწვარი რუხად.

„მიყვარხარ და მხიბლავს შენი ეგ ლამაზი სახე,  
რადგან არ გსურს მორჩილება, ძალას მოვიხმარებ“.  
— ჩემო მამა, ჩემო მამა უკვე მტაცა ხელი  
და ტყის მეფემ მომაყენა ტყივლები მწველი..

მამა შიშობს, მიაჭენებს, მიჰქრის სწრაფად რაშით,  
ხელთ უპყრია მას თავისი გულმკვნიარე ბავშვი.  
დიდი ტანჯვით ეწოს აღწევს, სურს შეაღოს კარი,—  
მ.გრამ უკვე მის მკლავებში ბავშვი იყო მკვდარი.

თარგმანი გერმანულიდან შ. გ. ბიზანიშვილისა

თბილისის უცხო ენათა ს.პ. პეღ. ინსტ. მე-IV კ.სტუდენტო

# სრულიად კდილობდნენ ამერიკელები მიჩურინის გადაბირებას

